ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №43

22 თებერვალი 2012 წ.

ს.ს. „ალიანს ენერჯი“–სათვის სოფელ ბუქსიეთში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 1978 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^5 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ს.ს. „ალიანს ენერჯი“–სათვის სოფელ ბუქსიეთში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 1978 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით

ვბრძანებ:

1. გადაეცეს იჯარით პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში 2 წლის ვადით ს.ს. „ალიანს ენერჯი“–ს სოფელ ბუქსიეთში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 1978 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. მიწით სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის N9 დადგენილების – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ I მუხლის “ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც შეადგენს: 3 ლარი 60 თეთრი X 1978 კვ.მ. = 7121 ლარი, ყოველთვიურად 593,40 ლარი.

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ლელა იმედაშვილს, უზრუნველყოს მხარეებს შორის ხელშეკრულების მომზადება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*